

## მაია თევზაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ენობრივი ცნობიერება და მისი ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა

თანამედროვე ენათმეცნიერებაში სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს ცნებისადმი “ენობრივი ცნობიერება”. ფსიქოლინგვისტიკაში ენობრივი ცნობიერება განიხილება როგორც სპეციფიური ენობრივი სტრუქტურის, ენის კანონზომიერებების ასახვა ენის მატარებლის ქვეცნობიერში, მისი უნარი, რომ სწორად აარჩიოს და გამოიყენოს ენობრივი საშუალებები კომუნიკაციის პროცესში. ენობრივი ცნობიერება წარმოგვიდგება, როგორც სამეტყველო ქმედების მართვის მექანიზმი, რომელიც არის ცნობიერების ყველა ფორმის არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობა. ენობრივი ცნობიერება განისაზღვრება ან როგორც ცნობიერების სტრუქტურათა ერთობლიობა, რომლის ფორმირებაშიც გამოიყენება სოციალური ცოდნა, დაკავშირებული ენობრივ ნიშნებთან, ან როგორც ცნობიერების ხატები, გამოხატული ენობრივი საშუალებებით: ლექსემებით, სიტყვათშეთანხმებებით, ფრაზეოლოგიური ერთეულებით, ტექსტებით, ასოციაციური ველებით თუ ასოციაციური თეზაურუსებით, როგორც აღნიშნული ველების ერთობლიობით.

რიგი მკვლევარების განსაზღვრებით ენობრივი ცნობიერება არის ცნობიერების ხატების ერთობლიობა, მატერიალიზებული ენობრივი ნიშნებით (5,10). ენობრივი ცნობიერება, განხილული როგორც ეთნოლინგვოკულტურული ცნობიერება, შეისწავლება იმ ენობრივი ნიშნების შეპირისპირებით ანალიზის დახმარებით, რომლებიც წარმოადგენენ ერთი ეთნოლინგვოკულტურის ცნობიერების ხატების რეპრეზენტატორებს მეორე ეთნოლინგვოკულტურასთან მიმართებაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში.

მეცნიერთა ნაწილი არ განასხვავებს “ცნობიერებას » და « ენობრივ ცნობიერებას”. ისინი ორივე ტერმინს ერთი და იგივე ფენომენის, ადამიანის ცნობიერების გამოსატვისთვის იყენებენ. მათი აზრით, თუ და ვინაიდან ცნობიერებას აქვს ენობრივი გამოსატვლება, მაშინ მას შეიძლება ეწოდოს ენობრივი ცნობიერება.

ბევრი მკვლევარი გამოყოფს ცნობიერების სამ ტიპს. მაგალითად, ზ. პოპოვა და ი. სტერნინი ლაპარაკობენ კოგნიტურ, ენობრივ და კომუნიკაციურ ცნობიერებაზე. მათი აზრით, კომუნიკაციური ცნობიერება არის კომუნიკაციური ცოდნისა და კომუნიკაციური მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს ადამიანის კომუნიკაციური ქმედებების კომპლექსს. კომუნიკაციური ცნობიერება მოიცავს კონტექსტურ, ინტერაქციულ და ენობრივ ცოდნას. კონტექსტურ ცოდნაში მოიაზრება ცოდნა, რომელიც აუცილებელია არსებული კომუნიკაციური სიტუაციის ტიპის აღქმისა და განსაზღვრისთვის, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია კომუნიკაციის ადგილისა და პირობების ანალიზთან. ინტერაქციულ ცოდნად მიიჩნევა ცოდნა იმის შესახებ, თუ რა და როდის შეიძლება ითქვას, რა ტიპის სამეტყველო აქტები შეიძლება იქნას წარმოებული კონკრეტული კომუნიკაციური სიტუაციის ფარგლებში. ენობრივი ცოდნა არის ცოდნა იმის შესახებ, თუ რომელი ენობრივი საშუალებებით უნდა იქნას გაფორმებული ესა თუ ის კომუნიკაციური განზრახვა. ამგვარად, ენობრივი ცოდნა წარმოგვიდგენს ადამიანის ენობრივ ცნობიერებას. აქედან გამომდინარე, ჩვენის აზრით, ადამიანის კომუნიკაციური ცნობიერების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მის მიერ ენობრივ საშუალებათა სისტემის, მათი მნიშვნელობისა და ხმარების წესების ცოდნა, ე. ი. ენობრივი ცნობიერება. რაც შეეხება კოგნიტურ ცნობიერებას, ეს არის ცნობიერების ტიპი, რომელიც ჩვეულებრივ წარმოადგენს გარემომცველი სინამდვილის ასახვისა და გააზრების შედეგს, რომელიც მოიცავს სინამდვილის შესახებ ადამიანის ენციკლოპედიური ცოდნის, მათ შორის ენობრივი და კომუნიკაციური ცოდნის ერთობლიობას. ცნობიერების აღნიშნული სახეობების ურთიერთმიმართება შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: ენობრივი ცნობიერება ითვლება კომუნიკაციური ცნობიერების შემადგენელ ნაწილად, რომელიც, თავის მხრივ, განიხილება, როგორც ერის კოგნიტური ცნობიერების ინტეგრალური კომპონენტი. (4,31).

ამგვარად, ენობრივი ცნობიერება წარმოადგენს ცნობიერების ისეთ დონეს, რომელზეც ხატები, წარმოდგენები, აზრობრივი სტრუქტურები ფორმდებიან ენობრივი საშუალებების

დახმარებით, რაც აქცევს მას ცნობიერების ყველა სხვა ფორმის არსებობისა და განვითარების აუცილებელ პირობად.

ენობრივი ცნობიერების ფსიქოლინგვისტურ კვლევათა უმრავლესობა დაკავშირებულია ასოციაციური ექსპერიმენტის დახმარებით მიღებული ვერბალური ასოციაციების ანალიზთან. ასოციაციური ექსპერიმენტი წარმოადგენს ერთერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას ენობრივი ცნობიერების შესწავლისა და მისი ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის კვლევის საქმეში, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას სხვადასხვა ტიპის კავშირები სიტყვებსა და ვერბალური მეხსიერების მექანიზმებს შორის და წარმოადგენს ინსტრუმენტს სხვადასხვა ენის მატარებლების ცნობიერების ხატების გადმოცემისთვის (7,104). იგულისხმება, რომ განსხვავებულ ენებში სიტყვათა მნიშვნელობები შეიძლება არ იყოს ექვივალენტური, თუკი სიტყვათა მნიშვნელობებში იგულისხმება ცოდნა ცნობიერების ხატების და წარმოდგენების სახით, რომლებიც ასოცირებულია სიტყვებთან და რომლებსაც, თავის მხრივ, სხვადასხვა ენაში აქვთ თავისი სპეციფიკა. ენობრივი ცნობიერების ხატები აერთიანებს საკუთარ თავში რაციონალურ ცოდნას, რომელსაც აყალიბებს თავად სუბიექტი უპირატესად სამეტყველო ურთიერთობის პროცესში, და გრძნობით ცოდნას, რომელიც წარმოიქმნება ცნობიერებაში აღქმითი მონაცემების გადამუშავების შედეგად, რომლებიც, თავის მხრივ, მიიღება გრძნობითი ორგანოებისგან, მნიშვნელობა წარმოადგენს ცნობიერების ხატის უმნიშვნელოვანეს შემადგენელს (6,11).

ცნობიერების ხატების შეპირისპირება, რომლებიც გადმოცემულია კვაზიექვივალენტური სიტყვებით ორ ენაში, საშუალებას იძლევა გაანალიზებულ იქნას გაუცნობიერებელი ცოდნა საკუთარი კულტურის ხატების საშუალებით. განსხვავებული ეროვნული კულტურის წარმომადგენელთა ინდივიდუალურ ცნობიერებაში მნიშვნელობა მიუთითებს განსხვავებულ გრძნობით ხატებზე და იწვევს განსხვავებულ ასოციაციებსა და წარმოდგენებს.

გარემომცველი სინამდვილის მოვლენები ადამიანის ცნობიერებაში აისახება იმდაგვარად, რომ ფიქსირდება მოვლენათა და საგანთა სივრცითი და დროითი კავშირები და სამყაროს ხატი ყოველი კულტურისთვის უნიკალურია. სივრცისა და დროის კატეგორიები საერთოდ უნივერსალური ცნებებია მეტყველი და მოაზროვნე ადამიანის ცოდნის რეპრეზენტაციისთვის. აღნიშნული კატეგორიების გამოყოფა წარმოადგენს ადამიანის შემეცნებითი და სამეტყველო ქმედების, მისი ენობრივი სამყაროს ხატის ფორმირების მნიშვნელოვან ფაქტს, ეტაპს. თუმცა, როგორც სამართლიანად აღინიშნება, ენაში ობიექტური რეალობის კატეგორიზაციისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ სივრცისა და დროის კატეგორიის გათვალისწინება, ვინაიდან ცოდნის აღნიშნული სფეროებით შემოსაზღვრა არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად იქნას გათვალისწინებული სოციოეთნოკულტურული და ლოგიკურ-პრაგმატიკული ფაქტორები, დეტერმინირებული მეტყველი ინდივიდის “ადაპტური ქმედებით” (1, 1920). აქედან გამომდინარე, გამოიყოფა კიდევ ერთი სფერო – მიზეზობრიობა. გ. კოსტიუშკინას აზრით, წარმოდგენა დროისა და სივრცის შესახებ რთულდება კაცობრიობის განვითარებასთან ერთად და შედეგად იგი იძენს ახალ შინაარსს. ადამიანის ცნობიერება ყოველ ჯერზე ახდენს გარემომცველი სამყაროს რეალიების ერთგვარ კონცეპტუალიზაციას ეროვნული, გეო-, სოციო-, ფსიქო- და სხვა ტიპის ფაქტორების გავლენით (2,8). შედეგად, წარმატებული კომუნიკაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კომუნიკანტთა ცნობიერებების ერთობა, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს იმ ცოდნის პროგნოზირება, რომელიც სამეტყველო ქმედების ობიექტისთვის ასოცირდება გამოყენებულ ენობრივ ნიშნებთან. აღნიშნული ერთობა ფორმირდება იდენტური ეთნიკური კულტურის გათავისებით და ასევე ეროვნული ენის შესწავლით.

ენობრივი ცნობიერების და სამყაროს ენობრივი ხატის კვლევა თანამედროვე ენათმეცნიერების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომლის ანალიზი განსაკუთრებული სიმკვეთრით ავლენს თანამედროვე ლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკისთვის დამახასიათებელ ტენდენციას, რომ უფრო და უფრო ხშირად იქნას გამოყენებული ცნებები, მეთოდები, კვლევის ხერხები და ამოცანები, რომლებიც ბევრად ცდებიან წმინდა ენათმეცნიერული კვლევის ჩარჩოებს.

შესაბამისად, ენობრივი ცნობიერების შესწავლისადმი ფსიქოლინგვისტური მიდგომის სპეციფიკას წარმოადგენს მისი მოაზრება, როგორც ერთერთი დონისა ადამიანის ერთიანი სამყაროს ხატის სტრუქტურაში, როგორც ვარიანტისა სამყაროს, სოციალური რეალობის

ათვისების მრავალ შესაძლო სქემათა შორის, რაც ყველაზე უფრო მეტად ეფექტურია ადამიანთა შორის კომუნიკაციის მიზნებისთვის.

კონკრეტულ ეროვნულ ენაზე კომუნიკაციის სპეციფიკა მდგომარეობს სამეტყველო ჯაჭვის აგების თავისებურებაში, რაც ხორციელდება მოცემული ენის გრამატიკული წესებისა და ცნობიერების ხატების მიხედვით, ყველაფერი იმის მიხედვით, რაც ასახავს მოცემული ეროვნული კულტურის საგნებსა და მოვლენებს, შესაბამისად, ურთიერთგაგების მიღწევისთვის აუცილებელია, რომ კომუნიკანტები ფლობდნენ სამყაროს შესახებ საერთო ცოდნას ცნობიერების ხატების იმ ფორმებში, რომლებიც არსებობს კომუნიკანტის მშობლიურ კულტურაში. განსხვავებული ენებისა და კულტურების მატარებელი ერთმანეთს გაუგებენ იმდენად, რამდენადაც ერთმანეთს უახლოვდება ცნობიერების აღნიშნული ხატები. გაუგებრობის მიზეზი კი ინტერკულტურული კომუნიკაციის დროს შეიძლება აღმოჩნდეს სწორედ ცნობიერების აღნიშნული ხატების არ დამთხვევა.

ენობრივი ცნობიერების ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის კვლევას გარდაუვალად მიეყვარათ სამყაროს ხატის პრობლემამდე. როგორც აღნიშნავს ა. ლეონტიევი, სამყაროს ხატი არის ადამიანის ფსიქიკაში საგნობრივი სამყაროს ასახვა, გაშუალებული საგნობრივი მნიშვნელობებით და შესაბამისი კოგნიტური სქემებით, რომელიც ექვემდებარება შეგნებულ რეფლექსიას (3, 268).

ტერმინი “სამყაროს ხატი” წარმოადგენს ერთერთ ფუნდამენტურ ცნებას ადამიანის, მისი არსებობის და გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობის თავისებურებების კვლევაში. ერთდროულად იგი არის სამყაროს ხატიც და სამყაროსადმი ჩვენი დამოკიდებულების, ჩვენს მიერ მისი შეგრძნების ხატი. ჩვენ სამყაროს ჩვენეულ ხედვაში ვართ მიკერძოებულები, იგი ყოველთვის არის შეფერილი ჩვენი განცდებით. ა. ლეონტიევი აღნიშნავს, რომ სამყაროს ინდივიდუალური ხატები განპირობებულია პიროვნული აზრობრივი წარმონაქმნებით, რომელთაც აქვთ საერთო ბირთვი გარკვეული სოციალური ჯგუფისთვის, რომელსაც მიეკუთვნება სუბიექტი, ხოლო სამყაროს ეროვნული (ინვარიანტული) ხატები უკავშირდება ეროვნული კულტურის ფსიქოლოგიის თავისებურებებს (3,25). შესაბამისად, ჩვენ გამოვყოფთ ინდივიდუალურ და ეროვნულ ენობრივ ცნობიერებებს.

კომუნიკანტები ურთიერთობას ამყარებენ ერთმანეთთან ერთობლივ ქმედებათა რეგულირების მიზნით. ერთობლივი საქმიანობის საჭირო შედეგის მისაღწევად წინაპირობას, კერძოდ, კომუნიკაციის წარმატებისა და ადექვატურობისთვის, წარმოადგენს კომუნიკანტთა ცნობიერების ერთობა, რაც იძლევა საშუალებას, რომ სარწმუნოდ მოხდეს იმ ცოდნის პროგნოზირება, რომელიც ასოცირდება სამეტყველო ზემოქმედების ობიექტში გამოყენებულ ენობრივ ნიშნებთან.

მეტყველება, როგორც ენის დახმარებით აზრის ფორმირებისა და ფორმულირების საშუალება, განპირობებულია, ყველაფერ სხვასთან ერთად, ეთნოკულტურული ფაქტორებით. შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებები განსხვავებული კულტურების რეალური სინამდვილის აღქმაში, კატეგორიზაციასა და შეფასებაში უწყვეტ კავშირშია განსხვავებებთან ენასა და კულტურაში. კულტურათა დიალოგის პირობებში ცნობიერების ხატების ფაქტების კვლევის პროცესში ცხადი ხდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ობიექტის გრძნობითი თვისებები ერთი და იგივეა, მნიშვნელობა ხასიათდება ეროვნულ-კულტურული სპეციფიკით, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ იდეალური ხატი კულტურაში ფლობს ზეგრძნობით მახასიათებლებს, რომლებიც მჟღავნდება არა საგნის გრძნობით თვისებებში, არამედ მის კავშირებში, მიმართებაში სხვა საგნების მიმართ. ნ. უფიმცევა გამოარჩევს შემდეგ თავისებურებებს: კულტურულ საგანთა სისტემური მახასიათებლები არსებობს ორ ფორმაში: ერთის მხრივ, თავად კულტურის სისტემურობის სახით, რაც განაპირობებს მასში მოცემული საგნის როგორც ადგილს, ასევე როლს, ხოლო მეორეს მხრივ, ცოდნის სისტემურობის (ცოდნის სტრუქტურა) სახით, რაც დაკავშირებულია მოცემულ კულტურულ საგანთან და რაც დგას მის გამომხატველ სიტყვათა მიღმა. სამეტყველო ურთიერთობის ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკას განაპირობებს ფაქტორთა სისტემა: ფაქტორები, დაკავშირებული კულტურულ ტრადიციასთან, ფაქტორები, დაკავშირებული ურთიერთობის სოციალურ სიტუაციასთან და სოციალურ ფუნქციებთან, ფაქტორები, დაკავშირებული ეთნოფსიქოლოგიასთან, ფაქტორები, დაკავშირებული კონკრეტული

საზოგადოების თეზაურუსში ამა თუ იმ სპეციფიკურ რეაქციებთან, ცნებებთან და ა.შ., ფაქტორები, განპირობებული მოცემული საზოგადოების ენის სპეციფიკით (7, 168).

ენობრივი ცნობიერების ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის არსებობა განპირობებულია იმით, რომ საგნის იდეალური ხატი, ანუ მნიშვნელობა, არ არის დამოკიდებული მხოლოდ თავად საგანზე, არამედ მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმ ქმედებაზე, რომელიც მიმართულია ამ საგნისკენ და რომლის შედეგიც არის იდეალური ხატის ფორმირება. აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე საგნის ხატების განსხვავება განსხვავებულ ეროვნულ კულტურებში განპირობებულია ძირითადად იმ ქმედებების სპეციფიკით, რომლის სტრუქტურაშიც იქნა ფორმირებული აღნიშნული ხატი; ეს განსხვავება ენათა განსხვავებაზე ბევრად უფრო მეტად წარმოადგენს კულტურათა განსხვავების ფაქტს.

### ლიტერატურა

1. Концептуализация и категоризация в языке [Текст] : коллективная монография / Г. М. Костюшкина, Л. Г. Озонава, А. Л. Попова, М. А. Федотова, С. А. Фетисова, А. И. Фофин, Д. В. Эрдынеева. - Иркутск : Изд-во ИГЛУ, 2006. - 580 с
2. Костюшкина, Г. М. Проблемы концептуальной систематики языка, речи и речевой деятельности: материалы 1-й Всероссийской научной конференции. - Иркутск : ИГЛУ, 2007. - С. 7-15.
3. Леонтьев, А. А. Основы психолингвистики . М. : Смысл, 1997.-287 с.
4. Попова, З. Д, Стернин И. А. -М.: АСТ: Восток-Запад, 2002. - 416 с.
5. Привалова, И. В. Языковое сознание: этнокультурная маркированность (теоретико-экспериментальное исследование): автореф. дисс. ... д-ра филол. наук : 10.02.19 / И. В. Привалова. - М., 2006. - 50 с.
6. Тарасов, Е. Ф. Языковое сознание: формирование и функционирование. - М. : ИЯ РАН, 1998. - С. 30-34.
7. Уфимцева, Н. В. Методология современной психолингвистики: сб. статей ИЯ РАН. - М.: Барнаул, 2003. - С. 162-173

### რეზიუმე

ენობრივი ცნობიერება წარმოადგენს ცნობიერების ისეთ დონეს, რომელზეც ხატები, წარმოდგენები, აზრობრივი სტრუქტურები ფორმდებიან ენობრივი საშუალებების დახმარებით. მეტყველება, როგორც ენის დახმარებით აზრის ფორმირებისა და ფორმულირების საშუალება, განპირობებულია ეთნოკულტურული ფაქტორებით. ადამიანის ცნობიერება ყოველ ჯერზე ახდენს გარემომცველი სამყაროს რეალიების ერთგვარ კონცეპტუალურ ხატიან ეროვნული, გეო-, სოციო-, ფსიქო- და სხვა ტიპის ფაქტორების გავლენით. ერთი და იგივე საგნის იდეალური ხატების (მნიშვნელობების) განსხვავება განსხვავებულ ეროვნულ კულტურებში ენათა განსხვავებებზე ბევრად უფრო მეტად განპირობებულია მათი ეროვნულ-კულტურული თავისებურებებით.

Maya Tevzadze

### Linguistic consciousness and its national-cultural characteristics

#### Summary

Linguistic consciousness is the level of consciousness on which mental images, ideas, thought structures are formed within the language specific context. Speech, which is the means of formulating thought with the help of language, is conditioned by ethnocultural factors. Human consciousness always conceptualizes the realities of the surrounding world under the influence of national, geo-, socio-, psycho- and other types of factors. The differences between the meanings of the same subject in various cultures are determined by their national-cultural peculiarities much more than by the differences in languages.